



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

ჟურნალისტიკა

ქუთაისი
2011

1. პროგრამის დასახელება: ჟურნალისტიკა

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი ჟურნალისტიკაში

Master of Social Sciences in Journalism

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი

4. პროგრამის ხელმძღვანელი: გრიგოლ ქობალიანი. ასოცირებული პროფესორი.

ტელეფონი: 599 42-89-00

6. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: შემოთავაზებულმა პროგრამამ უნდა უზრუნველყოს:

- მაგისტრების მომზადება ჟურნალისტიკის სპეციალიზაციით; მათი ცოდნის გაღრმავება და გამდიდრება თანამედროვე უცხოური და ქართული ჟურნალისტიკის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გათვალისწინებით.
- მაგისტრები შეისწავლიან ჟურნალისტიკის მენეჯმენტს, თანამედროვე პოლიტიკის, ეკონომიკისა და ყოფის აქტუალურ საკითხებს, მოვლენების ანალიზის ფორმებსა და საკითხისადმი პროფესიული მიდგომის მეთოდებს.
- ჩამოუყალიბდებთ პრაქტიკასა და თეორიაში წამოჭრილი პრობლემების, სინთეზური ანალიზისა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების უნარი. ასევე პროგრამა უზრუნველყოფს კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლების შესაძლებლობას სწავლის მომდევნო საფეხურზე.

დასაქმების სფეროები:

მაგისტრის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, გამომცემლობებში, ტელე-რადიო კომპანიებში, საინფორმაციო სააგენტოებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, სახელმწიფო, არასამთავრობო, კერძო სტრუქტურებში, აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებულ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში.

7. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ბაკალავრმა უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდა და საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.

8. სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება

ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის ათვისებით კურსდამთავრებული ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ჟურნალისტიკის ძირითადი ტენდენციების შესახებ; იცნობს დარგის კვლევის მეთოდებს და შეუძლია ინფორმაციული მონაცემების დამუშავება, ანალიზი და სინთეზი; იცნობს თეორიულ მიდგომებსა და ემპირიულ აღმოჩენებს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა; ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა; ჟურნალისტური ტექსტის შექმნა კომპოზიციური თვალსაზრისით; ჟურნალისტური გამოძიების ჩატარება და მედიასისტემების ხელმძღვანელობა;

დასკვნის უნარი

რთულ და არასრულ ინფორმაციას კრიტიკულად იაზრებს და გამოაქვს დასაბუთებული დასკვნები; აქვს დოკუმენტებზე მუშაობის ჩვევები, რაც გამოისახება პრობლემების და

ამოცანების შესატყვისი ინფორმაციის გამოყოფაში, დამუშავებასა და კლასიფიცირებაში, შენახვასა და ადეკვატურ გამოყენებაში;

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია გამართული მეტყველება და წერა, მასალის ძირითადი აზრის გაგება და მოკლე შინაარსის დაუმახინჯებლად გადმოცემა; აქვს აქტიური მოსმენის უნარი; შეუძლია დისკუსიებში მონაწილეობის მიღება, აზრის სწორად ჩამოყალიბება და საკუთარი პოზიციის დაცვა; სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის სოციუმში არსებული პრობლემების შესახებ დეტალური ანგარიშის მომზადება და როგორც ზეპირი, ასევე წერილობით სახით. აქვს კრიტიკული აზრის გამოთქმისა და განსხვავებული მოსაზრებების გათვალისწინების უნარი; იყენებს კომპიუტერულ და პროფესიულ ტექნიკას.

სწავლის უნარი

შეუძლია სხვადასხვა წყაროდან დამოუკიდებლად ინფორმაციის მოპოვება; საკუთარი დროის ოპტიმალური განაწილება; პრიორიტეტების დამოუკიდებლად დასახვა და გეგმის თანმიმდევრული მიყოლა; აქვს ლიტერატურაზე მუშაობის ჩვევები; შეუძლია სასწავლო პროცესის კრიტიკული ანალიზი და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა.

ღირებულებები

პროგრამის შესწავლის შედეგად მაგისტრანტს უყალიბდება პროფესიული შეგნება და თვითშეგნება; იჩენს ობიექტურობასა და პრინციპულობას; ხელმძღვანელობს ჰუმანიზმის პრინციპებით; იბრძვის დემოკრატიული ფასეულობების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და დამკვიდრებისთვის.

9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

ა) ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი

- სალექციო მასალის ვიზუალური პრეზენტაცია და ვერბალური განმარტება, დისკუსია.

ბ) წიგნზე მუშაობის მეთოდი:

- დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად დავალების მიცემა წიგნზე მუშაობის სახით.

გ) წერითი მუშაობის მეთოდი:

- ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, თეზისების შედგენა, რეფერატის შესრულება.

დ) ახსნა–განმარტებითი მეთოდი:

- მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ და დაწვრილებით განხილვა მოცემული თემის ფარგლებში.

ე) ჯგუფური (collaborative) მუშაობა:

- სტუდენტების ჯგუფებად დაყოფა და სასწავლო დავალების მიცემა;
- საკითხის ინდივიდუალურად დამუშავება და პარალელურად ჯგუფის დანარჩენი წევრებისათვის გაზიარება;
- სასწავლო პროცესში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილების სტრატეგია.

ვ) ევრისტიკული მეთოდი:

ზ) შემთხვევის ანალიზი (Case study):

- კონკრეტული შემთხვევის განხილვა, საკითხის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა.

თ) როლური და სიტუაციური თამაშები:

- სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება ალტერნატიული პოზიციის ჩამოყალიბებაში და მის დაცვაში.

10. მაგისტრანტის ცოდნის შეფასების სისტემა:

მაგისტრანტის მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაგისტრანტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია მაგისტრანტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. მაგისტრანტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. მაგისტრს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში მაგისტრის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

11. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ: უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრი.

პროგრამას განხორციელებს აწსუ-ს აკადემიური პერსონალი:

- გ. ქობალიანი – ასოცირებული პროფესორი
- ე. თხილავა – ასოცირებული პროფესორი
- ნ. შენგელია - ასოცირებული პროფესორი
- ნ. ჯიქია - ასოცირებული პროფესორი
- მ. თადუმაძე - ასოცირებული პროფესორი
- ნ. ტაბიძე – პროფესორი; განსაკუთრებული რანგის მეცნიერი
- ე. ფხაკაძე – ტელეკომპანია “იმედის” ჟურნალისტი
- ა. ბუცხრიკიძე - ასოცირებული პროფესორი
- ბ. ფორჩხიძე - ასოცირებული პროფესორი
- ს. კუპრაშვილი - ასოცირებული პროფესორი
- მ. ჩიტეიშვილი - ასოცირებული პროფესორი
- ი. იაშვილი - ასოცირებული პროფესორი
- ქ. ბერძენიშვილი – რადიოკომპანია ”მველი ქალაქის” დირექტორი
- ნ. მუშკუდიანი – სრული პროფესორი
- რ. მიქაუტაძე – ასოცირებული პროფესორი

12. სასწავლო გეგმა:

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ-საათი კვირაში; ლ/ჯგ.მუშ./დამ.მუშ.-
ლექცია/ჯგუფის მუშაობა/დამოუკიდებელი მუშაობა.

5 კრედიტი-125 საათი;

პროგრამის სავალდებულო კურსები-65 კრედიტი;

პრაქტიკა ელექტრონულ მედიაში-10 კრედიტი;

პროგრამის არჩევითი კურსები-15 კრედიტი;

სამაგისტრო ნაშრომი-30 კრედიტი;

სულ: 120 კრედიტი.

№	კურსის კოდი	საგნის დასახელება	სკ	ლ./ჯგ.მუშ./დამ.მუშ.	კრედიტი	კრედიტების განაწილება			
						სემესტრი			
						I	II	III	IV
		სავალდებულო კურსები							
1	PPM0530	უმადლესი სკოლის დიდაქტიკა	3	24.12.89	5	5			
2	HEM0750	უცხო ენა 1	3	0.45.80	5	5			
3	HEM0760	უცხო ენა 2	3	0.45.80	5		5		
4	SGM0010	საგამომიებო ჟურნალისტიკა	3	30.15.80	5			5	
4	SGM0020	კვლევის მეთოდები ჟურნალისტიკაში	3	24.12.89	5	5			
5	SGM0030	მასობრივი კომუნიკაციათა საშუალებების მენეჯმენტი	3	30.15.80	5			5	
6	SGM0040	ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია	3	24.12.89	5	5			
7	SGM0050	პუბლიცისტური ტექსტის კომპოზიცია	3	30.15.80	5		5		
8	SGM0060	პუბლიცისტიკა	3	24.12.89	5	5			
9	SGM0070	სოციალური საკითხების გაშუქება	3	30.15.80	5			5	
10	SGM0080	რეკლამა პრესაში	3	30.15.80	5			5	
11	SGM0090	ვერბალური კომუნიკაცია	3	30.15.80	5		5		
12	SGM0100	სამაუწყებლო ახალი ამბები	3	30.15.80	5		5		
13	SGM0110	პრაქტიკა ელექტრონულ მედიაში 1		0.60.65	5		5		

14	SGM0120	პრაქტიკა ელექტრონულ მედიაში 2		0.60.65	5			5	
15	SGM0130	სამაგისტრო ნაშრომი			30				30
		არჩევითი საგნები							
1.1	SPM0191	ჟურნალისტიკა და პოლიტიკა	3	24.12.89	5	5			
1.2	HAM0221	კულტუროლოგია							
1.3	SFM0161	სოციოლოგია							
2.1	SFM0171	დარგის ფსიქოლოგია	3	30.15.80	5		5		
2.2	SFM0181	ლოგიკა							
2.3	NGM0251	ოჯახი და სოციალური გარემო ჟურნალისტიკაში							
3.1	HHM0111	საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხები	3	30.15.80	5			5	
3.2	HHM0021	უახლესი ისტორია							
		ს უ ლ				120			

შენიშვნა : მაგისტრანტი I და II სემესტრებში არჩევითი სასწავლო კურსებიდან ირჩევს მხოლოდ ერთ 5 კრედიტიან კურსს.